ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №11

15.06.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
5. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- პეტრე მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაციის მოსმენა

მომხსენებლები:

- **ვიქტორ წილოსანი -** სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი;
- **მზევარ გოგილავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომა ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიასთან ერთად წარიმართა.

სხდომას თავმჯდომარეობდა შალვა ოგბაიძე.

გაერთიანებულ სხდომაზე მელიქიშვილის გამზირზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების, სატრანსპორტო სქემის ცვლილების და სხვა ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს.

მომხსენებლებმა საკრებულოს წევრებს იმ ძირითადი ცვლილებების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, რომლებიც, რეაბილიტაციის ფარგლებში მელიქიშვილის გამზირსა და მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება.

როგორც ვიქტორ წილოსანმა აღნიშნა, რეაბილიტაციის შედეგად, სატრანსპორტო მოძრაობის ყველა მონაწილის ინტერესი იქნება დაცული, პრიორიტეტი რა თქმა უნდა მიენიჭება ქვეითს. მისი თქმით, მელიქიშვილის გამზირზე მთლიანად შეიცვლება მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელი, მოეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემა, კაბელები განთავსება მიწისქვეშ, მოეწყობა გარე განათების ახალი ქსელი,

რომელზეც დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის LED სანათები, გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი.

გარდა ამისა, გზის სავალი ნაწილიდან გამოიყოფა ზოლი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის, მოეწყობა ახალი მოსაცდელები და ველობილიკი.

რაც შეეხება ტრანსპორტის მოძრაობის სქემას, სამუშაოების განმავლობაში, სატრანსპორტო საშუალებებისთვის გადაადგილება შესაძლებელი იქნება კეკელიძის ქუჩიდან და ჭავჭავაძის გამზირიდან ვარაზისხევის მიმართულებით, ხოლო ვარაზისხევზე სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილება შეეძლებათ ორივე მიმართულებით. ვარაზისხევიდან გადაადგილება შესაძლებელი, როგორც მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და თამარ მეფის გამზირის, ასევე, კოსტავას ქუჩის მიმართულებით.

კოსტავას ქუჩაზე მოძრაობა შესაძლებელი იქნება ორივე მიმართულებით. თბილისის საკონცერტო დარბაზიდან გმირთა მოედნისკენ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილება კოსტავას ქუჩიდან ნიკოლაძის ქუჩაზე შეეძლებათ, ხოლო ნიკოლაძის ქუჩიდან ქუჩიშვილისა და ღამბაშიძის ქუჩების გავლით, კვლავ კოსტავას ქუჩაზე მოხვდებიან.

შეზღუდვა ასევე შეეხება პირველი რესპუბლიკის მოედნიდან კოსტავას ქუჩისკენ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს. კერძოდ, რუსთაველის გამზირიდან კოსტავასა და ჭოველიძის ქუჩებისკენ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილება შეეძლებათ პირველი რესპუბლიკის მოედანზე, ახვლედიანისა და ქიაჩელის ქუჩების გავლით. კოსტავას ქუჩიდან კი გადაადგილება შესაძლებელი იქნება როგორც ჭოველიძის ქუჩაზე, ასევე, გმირთა მოედანზე ამსვლელ პანდუსზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და თამარ მეფის გამზირის მიმართულებით.

ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან გადაადგილება შესაძლებელი იქნება მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით, ხოლო ვარაზისხევზე მოხვედრა შესაძლებელი იქნება გმირთა მოედნიდან ამსვლელი პანდუსის გამოყენებით. სარეაბილიტაციო სამუშაოების განმავლობაში, დროებით შეიცვლება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების სქემაც. მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაცია 17 ივნისს დაიწყება.

ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს მოსმენილი ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე